გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | 10 | — | 6 | 6 | — |
| [illegible] | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



**ზედამხედველი კომიტეტი** და **მმართველობა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა** სთხოვს, ვისაცკი ჰსურს პატივი სცეს ხსოვნას ეხლა-ხან გარდაცვალებულის, ზედამხედველ კომიტეტის წევრად ნამყოფის **დავით ქაიხოსროს ძის** [illegible]**შისას**, მობრძანდნენ იმის სულის მოსახსენებელს პანაშვიდზედ, რომელიც იქმნება გარდახდილი კვირას, 1 ნოემბერს, დილის 12 საათზედ, ტფილისის ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში. (3—163—1)

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ და „ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში საყმაწვილო წიგნი სულექსად შ. მღვიმელისა




**ფასი 20 კაპ.** (5—

კვირას, 8 ნოემბერს, დილის 11 საათზედ, ტფ. სათ.-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია მორიგი საზოგადო კრება სახლების აშენების ამხანაგობისა. განსახილველია შემდეგი საგნები:

1) ახალ წევრთა მიღება.

2) მოხსენება მმართველობისა საქციონერო საზოგადოების დაარსების შესახებ.

3) მოხსენება მმართველობისა ამხანაგობის წევრის პოდპოლკოვნიკის ხ. პ. არდაზიანის თხოვნის შესახებ. (3—3)

## წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისაგან

ქართველთა ამხანაგობის გამგეობისა და სარედაქციო კომისიის შეერთებულმა კრებამ მდგომარე წლის 2 მაისს დაადგინა ქართულის კრებულის გამოცემა დრო-გამოშვებით. კრებულში დაიბეჭდება სალიტერატურო და სამეცნიერო წერილები და სივრცით იქმნება არა ნაკლებ ათის თაბახისა- (320 გვ.)

ვთხოვთ, ვისაც ჰსურს მონაწილეობის მიღება, თავის ნაწერები გამოუგზავნოს ამხანაგობას კრებულში დასაბეჭდათ.

მოწონებულს და კრებულში დაბეჭდილს რომანებში, მოთხრობებში და სამეცნიერო წერილებში ავტორთ მიეცემათ ნაბეჭდ თაბახში (32 გვერდი, გვერდზედ 27 სტრიქონი იქმნება 5×8 კვადრ.) არა ნაკლებ 18 მ. ლექსები და პოემები დაიბეჭდება სხვა პირობებით.

ხელნაწერებთან ერთად ავტორისმიერ გამოგზავნილი უნდა იქმნას წერილი პირობითურთ შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Правленію Грузинскаго Издательскаго Товарищества. (10—5)

**დოქტორი ს. ვაწაძე** ილებს ავადმყოფებს ნაშუადღევის 3 საათიდგან 6 საათამდე (ელისაბედის ქუჩა, კობიევის სახლი, № 116). (30—6)


ტფილისი, 29 ოქტომბერი

წინადაც ხშირად გვქონია საუბარი და ეხლაც კიდევ ვიტყვით: ევროპიელების მიერ ახალშენების შეძენის უპირველესი მიზეზი ის არის, რომ თავიანთ გაძლიერებულს მრეწველობას და აუარებელ საქონელს ბაზარი აუჩინონ გარედ, რადგან შინ საჭირო არ არის ასეთი დიდი რაოდენობა საქონლისა. საქონელი თუ მალე და დროზედ გარედ არ იქმნა გასაღებული, შინ დაგროვდება, ფასი დააკლდება. ამის შედეგი ის იქნება, რომ წარმოება უსათუოდ უნდა შემცირდეს და, მაშასადამე, მუშაც ნაკლები დასჭირდებათ. უსაქმოდ დარჩენილს მუშას კიდევ ჭამა უნდა და, რაკი საჭმელს ვერ იშოვის, უეჭველია ათას გვარ უწესოებას ჩაიდენს.

ასეთის უბედურების ასაცდენად ევროპის სახელმწიფონი გაფაციცებით ეძებენ ბაზარს უცხო ქვეყნებში, იძენენ მამულებს და ასახლებენ მოჭარბებულს თანამემამულეთ. ახალი ბაზრის ძებნაში დიდი ქიშპობა და ჯიბრი აქვთ ევროპის უმთავრეს სახელმწიფოებს, რომელნიც ჩასდგომიან ერთი-ერთმანეთს კვალში და მზად არიან, სისხლი გაუშრონ იმას, ვინც ერთს ნაბიჯს წინ გადასდგამს: რად დამასწროვო. ეს არის მიზეზი, რომ ძლიერს, განათლებულს, მდიდარს და ზღვის ბატონს ინგლისს ციებცხელება მოსდის, როცა-კი რუსეთი ფეხს წინ წასდგამს ინდოეთისაკენ და რომელსამე მწირს და უდაბურს ქვეყანას ხელში ჩაიგდებს. თუმცა-კი, ღვთის წინაშე, ისიც უნდა ვსთქვათ, რომ საეკონომიო მიზეზი რუსეთს სრულებით არ აძლევს საბუთს, შორს ბაზარი ეძებოს. ღვთის წყალობით, შინ იმდენი ქვეყნები უჭირავს, რომ ნეტა ჩვენი შვილიშვილები მოესწრონ იმათ რიგიანს შემუშავებას, თორემ ჩვენ ხომ ვერ ვიხილავთ რუსეთის ქვეყნებს ისე მოვლილს, როგორც ინგლისია, ეს მჭიდროდ დასახლებული და ბედნიერი ქვეყანა.

ცხოვრებისათვის ჭიდილმა დიდად გაამწვავა ევროპიელების ურთიერთობა და ყოფა-მდგომარეობა. ძმა ძმას აღარა ჰქმობს და მეგობარი—მეგობარს.

ევროპიელების ქიშპობამ, ჯიბრმა ვაჭრობა-მრეწველობაში და ბაზრის დაუსრულებელმა ძებნამ ის მოიტანა, რომ უშველებელი ნაწილი დედამიწის ზურგისა—აფრიკა ხელთ იგდეს და გაინაწილეს, როგორც უპატრონოდ დარჩენილი ნივთი.

სხვებთან ერთად აფრიკაში ფრანგებსაც აქვთ წილი. მათს სამფლობელოში დღეს ყველგან მშვიდობა და მყუდროება ჰსუფევს, მხოლოდ დაგომეიაშია გამართული გაცხარებული, სასტიკი და ულმობელი ბრძოლა. დაგომეიელები ველური, გაუნათლებელი ხალხია; თოფისა და ხმლის ხმარება ეხლა ხან ევროპიელებისაგან ისწავლეს, თორემ წინად მშვილდ-ისარს ხმარობდნენ. ტანთ აცვიათ ნადირის ტყავები, ცხვირსა და ყურებში უშველებელ რგოლებს იყრიან, თვით მეფე დაგომეიელებისა სცხოვრობს ქოხში და შეექცევა თავის დიდებულებთან ერთად ნანადირევს. ამ ათას გვარ ნაკლულევანებასთან დაგომეიელებს ერთი ფრიად დიდი და სანატრელი ღირსება ჰქონიათ: გაგიჟებით ჰყვარებიათ თავიანთი, ავია თუ კარგი, სამშობლო.

ერთის თთვის წინად დაგომეიელებს თავის მეზობელ ფრანგებთან კინკლაობა მოუვიდათ, რასაკვირველია, რომელისამე მიწის ნაჭერის გამო; კინკლაობა ჩხუბად გადიქცა, ჩხუბი კიდევ ომად და მერე რა ომად, ულმობელ, სასტიკ და შეუბრალებელ ომად. დაგომეიელები იბრძვიან თავ-განწირვით და ლამის სისხლით მორწყონ სამშობლო ქვეყანა. მარტო მამაკაცნი არა ომობენ ამ გაუნათლებელ ქვეყანაში. უფრო საკვირველ მამაცობას იჩენენ იქაური ქალები, ესრედ წოდებული ამაზონკები. დაგომეიელები იბრძვიან თავ-განწირვით, მაგრამ რას გახდებიან ფრანგებთან, იმათ საშინელ ლებელის თოფებთან! ლებელის თოფის სასტიკს ძალას ფრანგები პირველად დაგომეიელებზედ სცდიან: საფრანგეთის ერთი აფიცერი სწერს, რომ ძნელად წარმოიდგენს კაცი, რა უბედურებას ახდენს ლებელის თოფი. მისი ტყვია დიდ მანძილზედ სამ გოჯიან ფიცარს აპობს და ადამიანის სხეულს ხომ სულ მთლად სწიწკნის და ჰგლეჯს არწივის ბრჭყალებივითაო.

ფრანგების საომარმა იარაღმა მუსრი გაავლო დაგომეიელებს; ყოველ შებრძოლებაზედ ხუთასი, ათასი კაცი უკვდებათ. მართალია, დაგომეიელები, როგორც მოვიხსენეთ, კვახივით ზედ ასკდებიან მტერს, მაგრამ მეცნიერებით აღჭურვილ ფრანგებს ვერაფერს აკლებენ უმეცარნი მკვიდრნი დაგომეისა. ფრანგები მიუახლოვდნენ დაგომეიელების უმთავრესს სოფლებს კანნისას, აქედგან სატახტო ქალაქ აბომეომდე *) სულ შვიდი ვერსი-ღაა დ, უეჭველია, ამასაც ძლევა მოსილი საფრანგეთის მხედართ-მთავარი დოდსი მალე ბოლოს მოუღებს.

ღამსწრე უკანასკნელის ომისა,

*) ასე ეძახიან გაზეთები იმ სოფელს, საცა დაგომეიელების მეფე ბინადრობს ზამთრობით.

## ფელეტონი

### პირველი ტალღები

(მოთხრობა)

IX *)

მეორე დილას, როცა დათა და კოწია სამეცადინო ოთახში შევი[illegible]ც შეჰყვა მათ და შორი[illegible]ჯდა.

— ახლოს მოიწიეთ, ბატონო, უთხრა დათამ მაროს.

— აგერ დაჯექი! უთხრა კოწიამ და დაუდგა სკამი თავისთან. მაროც გაწითლდა და დაჯდა. დათამ დაუწყო ფურცვლა წიგნებს და გამოკითხვა, რა ისწავლეთ წელსაო. კოწიამაც უამბო. მერე რვეულები გადაათვალიერა დათამ კოწიასი.

— მაშ ასე, ჩვენი სამეცადინო დრო ორ ნაწილად უნდა გაიყოს. პირველად უნდა ხელ-ახლად წავიკითხოთ ხოლმე ის თხზულებანი, რაც წელს წაგიკითხავს, და გავარჩიოთ, მეორედ უნდა რუსულ გრამატიკას მივყოთ ხელი და მართლ-წერა ვისწავლოთ, უთხრა დათამ კოწიას.

— თქვენ, ბატონო, მიჰმართა ახლა მაროს, სიტყვიერების ნაწილს, იმედია, სიამოვნებით მოისმენთ და გრამატიკა-კი იმდენად საინტერესო არ იქნება...

— არა, მე, თუ-კი თქვენ ხელს არ შემიშლით, ორივეს სწავლა მინდა, სთქვა მარომ.

— ძალიან კარგი, მაშ თქვენც ნამდვილი შეგირდი იქნებით ჩემი, ღიმილითა სთქვა დათამ, მაგრამ, თუ მოგწყინდეთ, ნუ მოგვერიდებით, როცა გნებავდეთ, მობრძანდით და გვიყურეთ, როცა არა...

— არა, მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენთან არ მომწყინდება, სთქვა ღიმილითვე მარომ, თუმცა ჭარხალივით გაწითლდა-კი.

დათას აღარაფერი უთქვამს. მიაქცია-კი ყურადღება სიტყვებს: „თქვენთან არ მომწყინდებაო“ და რაღაც ნაირი სიხარული იგრძნო.

— აბა, კოწია, დაიწყე კითხვა, მიუბრუნდა დათა კოწიას და მისცა პუშკინის „Капитанская дочька“. თუ რომ უცნობი სიტყვა, ან აზრი გამოერიოს, უნდა მკითხოთ, სთქვა დათამ. აშკარა იყო, რომ უკანასკნელი სიტყვები მაროსაც ეკუთვნოდა, მაგრამ განა-კი გაჰბედავდა მარო რისამე კითხვას კიდევ? მარო ისედაც ჰგრძნობდა, რომ ნამეტანი მოუვიდა, რომ ისეც აწუხებდა დათას.

პატარა ხანს უკან, როცა კოწია გაცხარებით ჰკითხულობდა და მარო ყურადღებით ისმენდა, დათა-კი სტკბებოდა ამ ბედნიერ და-ძმის ყურებით, კარი გაიღო და ოთახში სალომე შემოვიდა. დათას არაფრად იამა სალომეს შემოსვლა, რადგან მზვერაობად ჩასთვალა იმის მხრით, მაგრამ მაინც გაიღიმა და წამოდგა.

— გამარჯობათ, სთქვა სალომემ: დაბრძანდით, დაბრძანდით, მე ისე შემოვიხედე... როგორ ატყობთ, დაიჭერს ეგზამენს? დაეკითხა ის დათას.

— მე მგონია, უნდა დაიჭიროს. ბევრი დრო გვაქვს მანამდის და, უეჭველია, მოვასწრობთ ყველაფრის დასწავლას, რაც საჭიროა.

— აბა თქვენ იცით. შენ, კოწია, კარგად იმეცადინე, თვარა ამდენი შრომა და ფული რომ ტყუილად დაგვიკარგო და დარჩე, არ ვიცი რა...

— ჩემი ჯავრი ნუ გაქვს, დედა, უთხრა კოწიამ.

— როგორ ნუ მაქვს? შენი ჯავრი თუ არ გვექნება, აბა ვისი ჯავრი უნდა გვქონდეს? დღეს გათენებამდის გადავარდა მამაშენი ყანების დასათვალიერებლად, ყველაფერს ამას შენთვის შრომობს...

— ყანების დასათვალიერებლად-კი არა, საკურდღლაოდ წავიდა, სთქვა სიცილით კოწიამ და შეჰხედა დათას. კვირას ჩვენც წავიდეთ, დათა, საკურდღლაოდ.

— კარგი, კვირამდის ჯერ დროა, მანამდის ვიმეცადინოთ და მაშინ ვნახოთ, სთქვა დათამ.

— შენ ხელს არ უშლიდე, მარო, ამათ! მიუბრუნდა სალომე მაროს.

— არა, დედა, უთხრა მარომ.

— მაშ არ გიშლით, დათა ზურაბიჩ, ხელს? შეეკითხა დათას.

— არა, ბატონო, ხელს გვიშლისკი არა, უკეთესიც არის ჩვენთვის. კოწია უფრო ბეჯითად მოეკიდება საქმეს, რაკი ამისთანა ამხანაგი ეყოლება და უფრო კარგად ð ხალისიანად ისწავლის.

— ჰო, მაროსთვინაც კარგია, თითქმის სულ დაავიწყდა რუსული ლა-

*) იხ. „ივერია“, № 228.

იგივე საფრანგეთის აფიცერი სწერს: წარმოუდგენელის გაბრაზებითა და გამწარებით იბრძვიან დაგომეიელები, რომელთაც ისე ვძულვართ, რომ არც ერთს ჩვენს ტყვეს სიცოცხლეს არ აჩიჭებენ, მაშინვე დღეს უზნელებენო. მომეტებულ გულქვაობას იჩენენ თურმე ამაზონკები. განგებ მოკლებულნი ყოველს სიამოვნებას, დედობის არ მცოდნენი, ეს მეომარნი დედაკაცნი ჩვენზედ ჰყრილობენ ჯავრსაო, ამბობს იგივე აფიცერი. ერთს ამაზონკას ტყეში ეგდო ხელთ საფრანგეთის მუხლში დაჭრილი მეომარი და რაღაც ჯოჯოხეთურის სიამოვნებით დაკოდილს მეომარს თავს ნელ-ნელა სჭრიდა ხერხითაო. ისეუოფილიყო თურმე გატაცებული ამ ბოროტის საქმით, რომ ვერ შეემჩნია ფრანგების მისვლა, რომელთაც იქვე მოუღეს თურმე ბოლო და ამითი გადაარჩინეს თავისი მოძმე საშინელს სიკვდილს.

აფიცრის ნაამბობში ერთი რამაა გასაოცარი. ფრანგები დაგომეიელებს სახლში მიუხტნენ, მკვიდრთ ცოლშვილი დაუწიოკეს, მათს ქვეყანას დამოუკიდებლობა მოუსპეს, წაართვეს, რაც რამ უძვირფასესი ჰქონდათ—თავისუფლება, და ვერ გაგვიგია, რა საბუთის ძალით თხოულობს ეს საკვირველი მხედარი ზრდილობიანს ომს დაგომეიელებისაგან.

ფრანგებმა მთელს ქვეყანას მოჰფინეს მოძღვრება ძმობისა, ერთობისა და სიყვარულისა; დღესაც ამასვე ჰქადაგებენ და, ეტყობა, საქმით სულ სხვა გამოდის. თუ ფრანგები ასე იქცევიან, სხვანი როგორღა უნდა გავამტყუნოთ. რას იზამთ, ძალა აღმართსა ჰხნავს და მადლი ჯერ კიდევ ცოტაა ქვეყანაზედ!

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** ტფილისის მიხეილის სამკურნალოში 27 ოქტომბერს ავად იყო ხოლერით 2 კაცი. პოლიციის მეექვსე განყოფილებიდგან მიიყვანეს ერთი ქალი, აბდულა-ყაზი-ბაი, რომელიც იმავე დღეს გარდაიცვალა.

თელავის მაზრის, ყარაჯალინის საზოგადოებაში 7 ოქტომბერს ხოლერის მგზავსი ავადმყოფობა გაჩნდა: ავად გახდა 6, მორჩა 1 კაცი და 3 ქალი, გარდაიცვალა 2 კაცი; 12 ოქტომბრიდგან ავად აღარავინ გამხდარა.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ წინამძღვარიანთ-კარის *სამეურნეო სკოლის ზედამხედველად დაუნიშნავთ ბ-ნი ზაალიშვილი, რომელმაც სწავლა დაამთავრა ახალ-ალექსანდრიაში.

ამავე სკოლის ბაგაში წელს პირველად იყო რთველი და გამოსულა ორი საპალნე ღვინო. ღვინო დააყენეს საკუთარ მარანში და სკოლის გამგებელთ დიდად ეინტერესებათ, როგორი ღვინო დადგებაო.

*** კავკავის რკინის გზის უფროსმა ცირკულიარი გამოსცა, რომ ტფილისის კადეტის კორპუსის მოსწავლეთ შეღავათიანი ბილეთები მიეცემათ ამ რკინის გზით მგზავრობისათვისაო.

*** სადგურ სანგაჩალის 27 ოქტომბერს იქაურს ტელეგრაფის მოხელეს ლუკიანოვს და მეისრეს წერეთელს ჩხუბი მოუვიდათ რაღაც ანგარიშის გამო. ჩხუბის დროს წერეთელმა დანით დასჭრა მკლავში ლუკიანოვი.

*** გუშინდელ ნომერში დაბეჭდილი გვქონდა, რომ ტფილისის სადგურზედ მუშებს კასა მოჰპარესო. 27 ოქტომბერს პოლიციამ დაიჭირა მეორე ქურდიც ვასილი ორდენიძე. ლონლაძეს უპოვნეს 62 მ. ეს ფული ლურჯს შაქრის ქაღალდში იყო გახვეული. ამისთანავე ქაღალდში ყოფილა გახვეული დაკარგული ფულიც, 1,450 მანეთი.

*** მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, პეტერბურგის ახალი მიტროპოლიტი პალლადი მომავალ კვირას სადღესასწაულო წირვას გადაიხდის სიონის ტაძარში.

*** ჟურნალ „Юридическій Вѣстникъ-ის აგვისტოს წიგნში დაბეჭდილია ა. ხახანაშვილის წერილი: „Дополненіе къ грузинскимъ католикосовымъ законамъ“.

*** ტფილისის საიმპერეტო დასის ადმინისტრაციას მოუწვევია ბერლინის საიმპერატორო თეატრის არტისტი-ქალი ქ-ნი ენგლუნდი, რომელიც 10 ნოემბრიდგან მიიღებს მონაწილეობას საიმპერეტო წარმოდგენებში სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში.

*** როგორც ამბავი მოგვივიდა, ნოემბრის გასულს მოსკოვში გამართული იქმნება ჩვეულებრივი ქართული საღამო. იმღერებენ და იგალობებენ ქართველი სტუდენტები კონსერვატორიის პროფესორის კლენოვსკის ხელმძღვანელობით.

*** როგორც შევიტყეთ, ბ-ნი გაუდელინი, უფროსი ორდინატორი ტფილისის მიხეილის საავადმყოფოსი, გადაუყვანიათ კავკასიის სამკურნალო ნაწილის მმართველის ბ-ნ გლავაცკის საბჭოს წევრად, ხოლო მიხეილის საავადმყოფოს უფროსის ორდინატორის თანამდებობის აღმასრულებლად დაუნიშნავთ ექიმი ს. ი. ტერტეროვი.

*** 28 ოქტომბერს ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ახალი სამ-მოქმედებიანი პიესა „გამოურკვეველი ოცნებანი“ ი. მ—ისა და ვოდევილი „არც იქით, არც აქეთ“, გადმოკეთებული ვ. გუნიას მიერ. წარმოდგენას ხალხი ნაკლებად დაესწრო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთს ყმაწვილს კაცს დაუწყია თარგმნა ქართულად ჯიოვანიოლის ისტორიულის რომანისა—„სპარტაკისა“.

*** სოფ. ხუმლაგა (კავკავის მაზრა): ოქტომბრის 23 საღამოთი, შვიდის საათის ნახევარზედ, უცებ გავარდა თოფი, ჯერ ერთი... მერე მეორე, მესამე და შემდეგ მოჰყვა უანგარიშოდ თოფების ჭახა-ჭუხი სეტყვასავით. პირველად ასე მეგონა, უთუოდ მდევარია-მეთქი, მაგრამ, თოფების სროლა რომ უთვალავად გახშირდა, მაშინვე სხვა ნაირად შევფიქრიანდი, უსათუოდ სოფელს საიდგანმე მტერი დაესხა თავს-მეთქი. ნება-უნებურად წამოვხტი, რევოლვერს ხელი წამოვავლე და გამოვარდი გარედ. შევხედე აღმოსავლეთისკენ ცას და აქ სხვა სურათი დავინახე. მთვარე სისხლივით წითელს ზეწარში ეხვეოდა და თანდათან ბნელდებოდა. ათის წამის განმავლობაში მთვარე მთლად დაიმალა და დაბნელდა; თურმე ხალხიც ამას ესროდა თოფებს უანგარიშოდ. აქაურების აზრით, მთვარეს უთუოდ მიუხტა რამე, შეჭმა უნდა მისი და თოფების სროლით გავაშვებინებთო. მთვარემ გასტანა სრულს სიბნელეში, შვიდის ნახევრიდგან რვის ნახევრამდე, ე. ი. სრული ერთი საათი, შემდეგ ცოტათი დაიწყო განათება და, ნახევარ საათს შემდეგ, ჩვეულებრივი სინათლე მოჰფინა შავ ზეწარ გადაფარებულს ქვეყნიერებას. ამ სახით, სრული საათ ნახევარი გასტანა მთვარის დაბნელებამ.

*** გაზ. „Новости“-ს სწერენ ქუთაისიდგან: „პეტერბურგის კონსერვატორიის მოწაფე ბეგლიარ ამირჯანიანი, რომელსაც ჩინებული ხმა აქვს (ბარიტონი), ამ დღეებში პირველ მოწაფედ მიუღიათ მილანის კოსერვატორიაშიო. იტალიის გამოჩენილ პროფესორს რონკონის უთქვამს, ამირჯანიანს საუცხოო მერმისი მოელისო.

### მთავრობის განკარგულებანი

კავკასიის სამხედრო ოლქის ტფილისის საარტილერიო საწყობის სალაბარატორიო სახელოსნოს გამგე, შტაბს-კაპიტანი კობიაშვილი დანიშნულ იქმნა იმავე სახელოსნოს უფროსის თანაშემწედ.

ერევნის პოლიცმეისტერი კოლეჟსკი-სოვეტნიკი გოვორუხინი დანიშნულ იქმნა ფოთის პოლიცმეისტერად.

რაჭის მომრიგებელ-სასამართლოს თანაშემწეს მოადგილე ვიქტორ ალექსანდრეს ძე გოცირიძე, თავისისავე თხოვნით, დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან.

კავკასიის ოლქის მთავარ-შტაბის უწყების შტატს გარეშე მოხელე, ნადვორნი სოვეტნიკი კონდორელი დანიშნულ იქმნა ამავე უწყების განსაკუთრებულ საქმეთა მოხელედ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ „Руск. Вѣд.“-ში დაბეჭდილია:

სამკურნალო აკადემიის უკანასკნელ კრებაზედ პროფესორმა პეტერმა, სხვათა შორის, სთქვა: „ხოლერის გამოკვლევამ დაგვიმტკიცა, რომ ამ ავადმყოფობის უმთავრესი მიზეზი სიღარიბე და უწესო ცხოვრებაა და დაასკვნა, რომ: „moins de misère et plus d'hygiène“-ო. ამ სიტყვებს ჩვენ ასე განვმარტავთ: ნაკლები ყურადღება მიაქციეთ მიკრობებს და მომეტებული—ადამიანთ; მიკრობისთვის ცოტა კარბოლკა იხმარეთ და ადამიანისთვის მეტი პური და უკეთესი ცხოვრება შეჰქმენით. მაშინ ბაცილებიც ისე საშიში არ იქნება ადამიანისთვის, როგორც ეხლაა.

**

ამ ბოლო დროს რუსეთის მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია მეურნეობის დაქვეითებას და სცდილობს, როგორმე განაკარგოს გაღარიბ-გაღატაკებულის ხალხის ცხოვრება. ყველა ეს, რა თქმა უნდა, ძლიერ კარგია და სულითა და გულით ვხარობთ, რომ მთავრობა ამ საქმეს დაადგა, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ საჭიროა აგრეთვე ზრუნვა სწავლა-განათლებისათვისაც, რადგანაც ხალხის კეთილდღეობისა და სწავლა-განათლების საქმე ძლიერ მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ამ საგნის შესახებ გაზეთი „Пет. Вѣд.“-ი სწერს:

თქმა არ უნდა, რომ რაც ნაკლებად განვითარებულია გონებით ხალხი, იმდენად ქონებითაც განვითარება აკლია და, პირ-იქით, რამდენადაც გონება განვითარებულია და განათლებული ერი, იმდენად ნათლადა აქვს წარმოდგენილი თავისი ავ-კარგიანობა და გამორკვეული აქვს ცხოვრების საგანი. თუ ერი განათლებულია, მაშინ ყოველის საქმის გაკეთება უფრო ადლია. განათლება და სწავლა დასაბამი და უმთავრესი მიზეზია ადამიანის კეთილდღეობისაო.

**

გაზეთი „Новости“ იუწყება, რომ ქ. ორიოლის ახალმა გუბერნატორმა ნეკლიუდოვმა შემდეგი შესანიშნავი ცირკულიარი გამოსცა „დანოსების“ წინააღმდეგ:

იმ დღიდგან, რაც ჩემს ახალს თანამდებობას ვასრულებო, სწერს გუბერნატორი: თითქმის ყოველ დღე მომდის სხვა-და-სხვა „დანოსი“ და სახელ-მოუწერელი არზები და წერილები. რამდენიმე ასეთი თხოვნა გავსინჯე, გამოძიება მოვახდინე და აღმოჩნდა, რომ ეს თხოვნები და „დანოსები“ ცალიერი ცილის წამება ყოფილა.

ვაცხადებ ამიტომ, რომ უსახელო წერილებსა და „დანოსებს“ არასოდეს არავითარს ყურადღებას არ მივაქცევ და არც გამოძიებას მოვახდენ. ვისაც ჰსურს რაიმე მთხოვოს ან შემატყობინოს, შეუ-

---

პარაკი და გაიხსენებს, სთქვა სალომემ.

— ასე რომ, დედა, ჩემთვის ცალკე უნდა მისცეთ ფული დათას, რომ მასწავლის, უთხრა მარომ ღიმილით დედას.

— არა, ბატონო, მე თქვენთვის შრომა არ მემატება და არც ფული უნდა მომემატოს, სთქვა დათამ.

— ჩვენ და ეგ მოვრიგდებით, უთხრა სალომემ მაროს: შენ-კი შენის მხრით უნდა სცე პატივი, შენ ხომ ჩვენი აღარა ხარ, წამავალი ხარ. აწი კიდევ თუ დაგახარჯეთ რამე, მზითევში გამოგიქვითავთ, იცოდე, დააბოლოვა სიცილით სალომემ თავისი სიტყვა და გავიდა. მარო სირცხვილით დაიწვა, დათა და კოწიაკი იღიმებოდნენ.

— ჰოო, ეხლა რაღას იზამ? მეტი გზა აღარ არის, უნდა შეეხვეწო დათას, რომ გადროვოს, სანამ არ გათხოვდები, და მაშინ უნდა გადაუხადო პატივისცემა, უთხრა კოწიამ მაროს. მარო ხმას არ იღებდა.

— განაგრძე კითხვა! უთხრა დათამ კოწიას, რომ გამოეყვანა მარო ამ არა სასიამოვნო მდგომარეობიდგან. კოწიამ დაიწყო კითხვა. დათა ბოლთის ცემას მოჰყვა, რომ არ ეყურებინა მაროსათვის და დრო მიეცა დასამშვიდებლად, თუმცა ხანდახანკი გადაჰხედავდა ხოლმე ქურდულად და უნდოდა შეეტყო, რას ჰფიქრობდა მაშინ მარო.

მარო მისჩერებოდა კოწიას და უგდებდა ყურს კითხვას, თუმცა დიდხანს არ დამშვიდებულა, რასაც ამტკიცებდა ის გარემოება, რომ ლოყები დიდხანს უბრწყინავდა წითლად. ნეტავ რას ჰფიქრობდა მაშინ მარო? ვინ იცის, ვინ გამოიცნობს ახალგაზდა ქალის ფიქრებს?

X

გავიდა რამდენიმე დღე. დათა ძლიერ მადლიერი იყო კოწიასი. უფრო კმაყოფილი იყო იმითი, რო მაროცა სწავლობდა. ისინი ძლიერ დაუახლოვდნენ ერთმანეთს და ისე თამამად და თავისუფლად იქცეოდნენ გაკვეთილების დროს, რომ უცხო კაცს დათაც მაროსა და კოწიას ძმა ეგონებოდა. მანუჩარი ნახევარჯელ შინ არ იყო, სალომეს თავისი საქმე ჰქონდა და ჩვენი ახალგაზდები-კი სულ ერთად ატარებდნენ დროს. დათა თითონაც ერიდებოდა სალომესთან ლაპარაკს, რადგან იცოდა, რომ იმას ველარაფერს ჩააგონებდა; სამაგიეროდ მაროსთანა და კოწიასთან სულ ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა გატაცებით და ისინიც სიამოვნებით ყურს უგდებდნენ.

ერთხელ, როცა გაკვეთილი გაათავეს და ჩვეულებრივს ლექციას უკითხავდა დათა თავის მსმენელთ, ძაღლის ყეფა მოისმა. ყველამ ფანჯარაში გაიხედა და დაინახეს მომავალი ახალგაზდა კაცი.

— ვინ არის ეს ყმაწვილი? იკითხა დათამ.

— ჩვენი აზნაურია, ლევანა ნაცარიშვილი, სთქვა მარომ.

— ძალიან შეწუხებული-კი მოდის. ეტყობა, რაღაც უჭირს, სთქვა დათამ.

— კიდევ გალახავდა ვისმე, ან დაჩეხდა და მოდის მამასთან, არიქა მიშველე რამეო, სთქვა კოწიამ.

— როგორ თუ გალახავდა და დაჩეხავდა, გიჟია თუ? იკითხა დათამ.

— გიჟი არ არის, მაგრამ არც არაფერი აკლია, ერთობ ავგულია და ჭინჭყლიანი, ნამეტურ საძაგელი სიმთვრალე იცის, სთქვა კოწიამ.

— მართლა? იკითხა დათამ და შეჰხედა მაროს.

— დიაღ, სიმთვრალეში ჩხუბი იცის, მიუგო მარომ.

ამ დროს შემოვიდა ბიჭი და მაროს უთხრა, ბატონო, ლევანა შეგეხვეწათ, თუ გცალიათ, ერთ წამს მნახეთ, ძრიელ საჭირო საქმე მაქვსო.

მარო გავიდა, კოწიაც გაჰყვა.

„რა საქმე უნდა ჰქონდეს მაროსთან? ჰფიქრობდა დათა: იქნება შუამავლად აყენებს“.

პატარა ხანს უკან სიცილით შემოვიდა კოწია.

— ხომ ვსთქვი, დაიწყო იმან: ლევანას გუშინ ერთი ყაზახი დაუჩეხია.

— რა ნაირად? ჰკითხა დათამ.

— მთვრალი მოდიოდა თურმე, წინ ყაზახი შეხვდა, რომელსაც ურემი მოჰყავდა. ლევანას უთქვამს, გადააყენეო, ყაზახს არ გადუყენებია, ამასაც მოსვლია გული, ამოუღია ხანჯალი და დაუჭრია უბედური.

— მერე მაროსთან რა უნდა?

— მაროს ეხვეწება, მიშუამდგომლე ბატონთან, იქნება მომიხერხოს რამე, თვარა გლახად არის ჩემი საქმეო. მართლაც გლახად არის იმისი საქმე. თურმე მმართებლობას ხელ-წერილი აქვს ჩამორთმეული, რომ არას დროს არავითარს საქმეში აღარ გაებას. პატარა რამეც საკმაო იქნებოდა, რომ დაეკარგათ, და მაგასკი კაცი დაუჩეხია კიდევ.

— მერე მანუჩარს რა შეუძლია, რომ მოუხერხოს?

— რა ვიცი, გლეხებზედ გავლენა აქვს და „პრიგოვორი“ შეაყენებინოს

ძლიან ან პირად მითხრას, ან წერილით მაცნობოს და ზედ თავისი სახელი და გვარი მოაწეროს.

---

## ყიდვა და გასყიდვა ადამიანებისა.

ამას წინად დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია რუსეთისა და ევროპის გაზეთებში იმ ამბავმა, რომ აფრიკის შუაგულ ქვეყნებიდგან ბევრი კაცი და ქალი მოჰყავთ სტამბოლის ბაზარში გასასყიდადაო. რუსეთის ერთი გაზეთი ამ ამბის შასახებ მოკლე ისტორიას მოგვითხრობს იმისას, თუ რა ღონისძიეება მიუღიათ ევროპის სახელმწიფოებს ამ საზიზღარის ვაჭრობის მოსასპობად. 1885 წელს ქ. ბერლინში შესდგა ევროპის ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელთა კონფერენცია კონგოს (აფრიკაშია) შესახებ. ამ კრებაზედ კონფერენციამ გადასწყვიტა,—ხელი შეუწყოს მონების ვაჭრობის მოსპობის საქმეს. ამას შემდეგ 1889 წელს ქ. ბრიუსელში (ბელგიაშია) შესდგა ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელმაც დაადგინა: აღიკრძალოს მონებით ვაჭრობა აღმოსავლეთის ზღვებსა და აფრიკის შუაგულს ქვეყნებშიო.

ამ გარდაწყვეტილებას ხელი მოაწერა 1890 წელს 2 ივნისს და 1891 წელს 21 მაისს რუსეთის იმპერატორმაც. ოსმალეთის სახელმწიფოც თანახმა გაუხდა ბრიუსელის კონფერენციის გარდაწყვეტილებას და ხელიც მოაწერა, მაგრამ... მაგარი ისაა, რომ სტამბოლისა და სხვა ქალაქების ბაზრებში მაინც ძლიერ გავრცელებულია მონების ყიდვა-გაყიდვა და ეს საზიზღარი ვაჭრობა აქამდე ვერაფრით აღუკრძალავთ კაცთ-მოყვარეობით გამსჭვალულ ევროპის სახელმწიფოებს. მართალია, 1889 წელს ევროპის სახელმწიფოებმა სამხედრო ხომალდები შემოარტყეს აფრიკის ნაპირებს და მუქარით უნდოდათ ბოლო მოეღოთ მონებით ვაჭრობისათვის, მაგრამ, საუბედუროდ, ამითიც არა-გამოვიდა-რა, იმიტომ-რომ ამ ფრიად საკეთილოსა და სასარგებლო საქმეს—მონობის ვაჭრობის მოსპობას—ევროპის სახელმწიფოებმა ზედ დაურთეს თავისის კერძო ინტერესის დაცვაც. ეს ინტერესი ის გახლავთ რომ ევროპის სახელმწიფოები ამ ბოლოს დროს დიდს ყურადღებას აქცევენ საკოლონიო პოლიტიკას, ესე იგი ევროპის გარეშე ქვეყნებში ჰსურთ თავისუფალი მიწა-წყალი მოიპოვონ, ახალშენები დაჰმართონ და გადაასახლონ თავისი მოჭარბებული მცხოვრებნი. ამ გარემოებამ შეუშალა ხელი 1889 წელს ბრიუსელის კონფერენციის მიერ ნატვირთ კეთილის საქმის განხორციელებას. ეს გარემოება რომ ან გადაჰლობებოდა წინ, მაშინ აღარ იქმნებოდა მაგალითი ადამიანის გაყიდვისა ადამიანისაგანვე და ევროპა სწორედ თავისს საკადრისს, დიდად საქებურს საქმეს მოიქმედებდა. ამ ჟამად საქმე იმავე გარემოებაშია, როგორშიაც წინად იყო, და ბრიუსელის კონფერენციის კეთილი გარდაწყვეტილება გარდაწყვეტილებადვე დარჩა.

ახლა რუსეთის გაზეთი „Рус. Вѣд.“-ი ურჩევს სახელმწიფოებს, რომ, თუ გსურთ ეს ადამიანის შემაძრწუნებელი საქმე—მონებით ვაჭრობის მოსპობა—უთუოდ დააბოლოვოთ ამ XIX საუკუნის დასასრულს მაინც და არ გადასცეთ მთელის განათლებულის კაცობრიობის სამარცხვინოდ მე-XX საუკუნეს, რომელსაც უამისოდაც ბევრი თავსამტვრევი და თავსატეხი საგანი გადაეღობება წინ და იმის გარდაწყვეტას მოითხოვსო; ყოველივე კერძო და პირადი ინტერესი დროებით დაივიწყეთ და ბოლო მოუღეთ ამ საზიზღარს, ადამიანის შემზარავსა და ბარბაროსთა საკადრისს ძმის ყიდვასა და ადამიანის ნივთივით ვაჭრობასაო.

---

## უცხოეთი

**ინგლისი.** დიდად ცნობილი ლონდონის გაზეთი „Pall-Mall Gazette“ სხვა კაცმა შეისყიდა და ამ გაზეთმა მიმართულებაც შეიცვალა. ეს გაზეთი 500,000 მანათად გაიყიდა. გაზეთი ეკუთვნოდა ტომსონს და შეისყიდა ფინანსისტმა ებრაელმა ლევენფელდმა, რომელმაც უწინდელი რედაქტორი ბ-ნი კუკი დაითხოვა და იმის მაგიერად იმისის გვარისავე კაცი, ბ-ნი კუკკე დაჰნიშნა. ახალი რედაქტორი ამ გაზეთისა წინად უნიონისტთა ყოველ კვირეულ ჟურნალ „Observer-ის რედაქტორად იყო. ამ გვარად „Pall-Mall“-იც უნიონისტთა დასს მიემხრო. დილის ხუთ თუ ექვს დიდ გაზეთს შორის ოთხი, სახელდობრ „Times“, „Standard“-ი „Daily Telegraph“-ი და „Morning Post“-ი, და საღამოს გაზეთთა შორისაც ორი—„Globe“ „St. James Gazette“ ამ დასს ემხრობიან. „Pall-Mall“-ი, ვიდრე ლევენფელდს ჩაუვარდებოდა ხელში, გლადსტონის პოლიტიკის მომხრე იყო, განსაკუთრებით სტიდის რედაქტორობის დროს, რომელიც შემდეგ ზოგიერთს უმნიშვნელო საქმეში არ მოურიგდა გლადსტონს და ეხლა „Review of Reviews“-ის რედაქტორია. „Pall-Mall“-ი, მართალი რომ სთქვას კაცმა, პირველად არ იცვლის თავისს მიმართულებას. პირველში კონსერვატორთა გაზეთი იყო იგი, შემდეგ, ჯონ მორლეის დროს, რადიკალობის ელფერი დაეტყო და სტიდის რედაქტორად ყოფნისას-კი შინაგან საქმეთა პოლიტიკაში გლადსტონის აზრებს ემხრობოდა, გარეშე პოლიტიკაში—რუსეთისა და ინგლისის შეკავშირებას ჰქადაგებდა და რუსეთს თანაუგრძნობდა. ამ გაზეთმა რომ ეხლა სულ სხვა მიმართულება მიიღო, ამას ნათლად ამტკიცებს ახალის რედაქციის პირველი მეთაური წერილი. ამ წერილში ნაქებ-ნადიდებია სამთა სახელმწიფოთა კავშირი და წერილის დამწერი ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეთ ურჩევს, რომ მჭიდროდ შეუკავშირდით გერმანიასა და იტალიასაო.

---

## წვრილი ამბავი

ლივერპულში დაარსდა თავ-შესაფარი დედათა სქესის ლოთებისათვის. ამ თავ-შესაფარის კურთხევას დაესწრო გლადსტონის მეუღლე, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა თავ-შესაფარის დაარსებისა გამო. გლადსტონის მეუღლემა სთქვა, რომ დიდი ხანია საჭირო იყო ამ გვარის თავ-შესაფარის დაარსება და ამიტომ დიდად უნდა გვიხაროდეს ეს ამბავიო. სამწუხაროდ, საზოგადოებასა და ჟურნალ-გაზეთებში ძლიერ ცოტასა ლაპარაკობენ და სწერენ ამ საქმის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, რასაკვირველია, ძლიერ ბევრი კეთილი კაცი აღმოჩნდებოდა ჩვენს ქვეყანაში და ყოველს ღონისძიებას იხმარდა ინგლისელ დედათა შორის გავრცელებულ ლოთობის მოსასპობადაო. გლადსტონის მეუღლის შემდეგ ილაპარაკა ლედი კევენდიშმა, რომელმაც ამას წინად ინგლისელ დედათა შორის გავრცელებულ ლოთობის მოსასპობად გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა საეკლესიო კრებაზედ. ამ სიტყვამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოებასა და ჟურნალ-გაზეთებში. თავ-შესაფარის კურთხევის დროს ლედი კევენდიშმა სთქვა, რომ ინგლისში უკვე რამდენიმე თავ-შესაფარი გაიმართა საცოდავ დედაკაცთათვის, რომელნიც, სამწუხაროდ, ასე ძლიერ მიეჩვივნენ ლოთობასაო. ამ საცოდავთათვის თავ-შესაფრების გამართვა მეტად საჭიროა, რადგანაც მხოლოდ იქ შეუძლიანთ როგორმე გადაეჩვივნენ ლოთობასაო.

— გაზეთი „Berliner Zeitung“-ი სწერს, რომ თუ ვინიცობაა ევროპის სახელმწიფოთა შორის ომა ასტყდა, ეს გარემოება ძლიერ გააღარიბებს ყველა სახელმწიფოსაო. ეს გაზეთივე სწერს, რომ საფრანგეთსა და რუსეთს შუა მომხდარი, ეგრედ წოდებული „ყირიმის“ ომი ორსავე სახელმწიფოს 9,950 მილიონი ფრანკი დაუჯდაო, იტალიის ომს დასჭირდა 1,500 მილიონი, დანიის ომს—175 მილიონი, ჩრდილო-ამერიკის ომისათვის დაიხარჯა 14 მილიარდი, 1866 წლის ომს დასჭირდა 1,650 მილიონი, 1870—71 წლის ომს—11 მილიარდი და რუსეთისა და ოსმალეთს შორის მომხდარს ომს—5,625 მილიონი. ამ ცნობებიდგან აშკარადა სჩანს, რამდენად დაზარალდება ევროპის ყველა სახელმწიფო, თუ ვინიცობაა ომი ასტყდა.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნ ჟორდანიას წერილმა ისე გვასიამოვნა ქ. ახალქალაქის ქართველები, რომ ვისწრაფით ამასთანავე გამოგიგზავნოთ სამ-სამი მანეთი, სულ ოც-და-ერთი მანეთი, მის მიერ ქართულ საისტორიო მასალების გამოცემისათვის და გთხოვთ, ეს ფული სრულად ჟორდანიას გარდასცეთ, ხოლო როცა ხსენებული წიგნი დაიბეჭდოს, ყველას კუთვნილებისამებრ გამოგვიგზავნოს, ან ცალ-ცალკე, ან ყველას ერთად, რომელისამე ქვემოდ მოხსენებულის სახელობაზედ.

ვლადიმირ წერეთელი 3 მან., მღვდელი იოსებ ჩიტაძე 3 მან., ივანე როსტომაშვილი 3 მან., გასილი ლომინაძე 3 მან., პარმენ ჯავრიშვილი 3 მან., ილია ალხაზიშვილი 3 მან., ივანე ბალუაშვილი 3 მან.

---

## დეპეშა

28 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** „Новое Время“ იუწყება, რომ თავისი სამი უკანასკნელი კრება სახელმწიფო საბჭომ ახლად შემოსაღებ გარდასახადის სჯაბაასს მოანდომა. ეს გარდასახადი უნდა დაედოს იმ გაქირავებულს სადგომებს, რომელშიაც ქირას 500 მანათზედ მეტს იხდიან, ზოგიერთს რკინის გზით გადატანილს საქონელს ფუთობის კვალობაზედ და გემ-ხომალდებს. განზრახვა აქვთ გარდასახადი მოუმატონ ლუდს, ნავთის ნაწარმოებს, სადამოჯნო ხარჯს მდიდრულ ცხოვრებისათვის გამოწერილ ნივთეულობისას, საზღვარ-გარეთის სვიას და მიწის გასაპოხიერებელს სასუქს.

„Новости“ იუწყება, რომ განზრახვა აქვთ თამბაქოს გარდასახადი მოუმატონ და ფუთზედ ორ მანათამდე დაჰნიშნონო.

„Русскій Инвалидъ“-ში დაბეჭდილია: „კომანდირი და აფიცერთა საზოგადოება კეგსგოლმის პოლკისა სთხოვენ ყველას, ვისაც-კი ამ პოლკში უმსახურნია 1878 წლიდგან, მობრძანდნენ პოლკის ქალიშვილის მარია კონსტანტინეს ასულის კეგსგოლმისა და დრაგუნის იზიუმის პოლკის კორნეტის შლემმერის ქორწინებაზედ 4 ნოემბერს ვარშავა-ალექსანდრეს ციხის ეკკლესიაში“.

**ათინა.** მემკვიდრე ცესარევიჩი პრინც გიორგითურთ დღეს კორინთს წაბრძანდა.

**ნიუ-იორკი.** საპრეზიდენტო არჩევანებზედ კლიველენდმა გაიმარჯვა შტატს ნიუ-იორკსა და ბევრს სხვა შტატში.

---

იმ ყაზახისთვის, რომ მავნებელი კაცია და გადაასახლეთო. თუ-კი ამას მოვასწრებთ, სანამ ჩემზედ საჩივარს შეიტანდეს, აღარაფერი მიჭირსო, ამბობს ლევანი. ადვოკატთან ვიყავი და ეს მირჩიაო.

— მარო შეჰპირდა შუამდგომლობას?

— უარს ეუბნება, მაგრამ ლევანი იმდენს შეეხვეწება, რომ დაიყოლიებს. იცის მაროს ამბავი.

— თითონ რატომ არ სთხოვს პირდაპირ მანუჩარს?

— იმიტომ-რომ მამას თავი მობეზრებული აქვს იმისაგან. ამას წინად უთხრა, აწი აღარაფერი მთხოვო, თვარა ბიჭებს გავაგდებიებ შენს თავს ჩემი სახლიდანო. ამიტომ მაროს ეხვეწება შუამდგომლობას. იცის, რომ, თუ მარომ სთხოვა მამას, შეუსრულებს თხოვნას.

— მეც სწორეთ ასე ვიფიქრე, სთქვა დათამ და სახეზედ დაეტყო, რომ რაღაც უნდა გადაეწყვიტა: გესმის, კოწია, წადი და უთხარი მაროს, სანამ არ დაუთანხმებია ლევანს და არ გაუგზავნია მანუჩართან, დათამ, ძრიელ საჩქარო საქმე მაქვს და ერთ წამს მობრძანდი-თქო. კოწია მაშინვე გაიქცა. დათამ ბოლთის ცემა დაიწყო. ეტყობოდა, რომ ძრიელ აღელვებული იყო და უნდოდა დამშვიდებულიყო და გონება შემოეკრიბა.

პატარა ხანს უკან ღიმილით შემოვიდა მარო, კოწიაც თან შემოჰყვა.

— უკაცრავად, ბატონო, შეგაწუხეთ, მაგრამ საჩქარო საქმეა. რა ჰქენით, შეპირდით ლევანას შუამდგომლობას მანუჩართან?

— რას ვიზამდი, იმდენს მეხვეწა, რომ დამითანხმა, ღიმილითვე სთქვა მარომ.

— უჰ! ერთობ შეწუხებულმა წამოიძახა დათამ: მარო და კოწია გაკვირვებულნი მისჩერებოდნენ და არ იცოდნენ, რად სწუხდა ასე დათა.

— თუ გნებავთ, წავალ და უარს ვეტყვი, სთქვა ბოლოს მარომ.

— მოითმინეთ, მე მინდა, რომ მარტო ჩემის გულისთვის-კი არ უთხრათ უარი, მინდა, რომ თითონ თქვენ მოისურვოთ, დაიწყო დათამ და შეხდგა მაროს წინ: ერთი მიბძანეთ, თქვენ იცით, რა საქმის შუამდგომლად დგებით?

— ლევანა ეხვეწება მამას, ყაზახებს უთხარი, „პრიგოვორი“ შეუყენონ იმ ყაზახს, რომელიც მე დავჩეხე, რომ იმის ჩივილს იმდენი ფასი აღარ ექმნეს მთავრობის თვალშიო, სთქვა მარომ: თუ ასე არ მოხდა, ლევანა დაიკარგება.

— და თუ ასე მოხდა, მაშინ ხომ ყაზახი შეიქმნება დაკარგული? ამბოზბდა ხმის კანკალით დათა.

— მაგიერად ლევანას აღარაფერი გაუჭირდება, სთქვა მარომ.

— ღმერთო ჩემო, ეხლა-კი ველარ მოითმინა და გაცხარებით დაიწყო დათამ: ეგ ვიღაც დასაბმელი გიჟია, მაგის გულისთვის სრულიად მართალი და უდანაშაულო კაცი უნდა დაიღუპოს? როგორ! ლევანა რომ აზნაურია, იმიტომ უნდა შეეწიროს მსხვერპლად მთელი ერთი ოჯახი? ღმერთი აღარ არის თქვენში?.. საბრალო ყაზახი დასჩეხეს, თითონაც გააუბედურეს, მისი ოჯახიც, ალბად იმას ეყოლება დედა, ან და, ან წვრილი შვილები, რომელნიც იმის მუშაობით იკვებებოდნენ, და ეხლა კიდევ, მის მაგიერად, რომ მისი დამჩეხი დაისაჯოს, თითონ ამ კაცსა სჯით? მერე რა პასუხს გასცემთ ან ღმერთს, ან თქვენს სინიდისს, როცა თქვენით, მტყუან კაცის მაგიერ, მართალი დაისჯება? ნუ თუ ისე დაჰშორებია თქვენს გულს საბრალო გლეხ-კაცი, რო იმის ტკივილს სრულიად ვერა ჰგრძნობთ და იმას, ვის შრომითაც თითონ თქვენ და მთელი ქვეყანა საზრდოობს, ანაცვალებთ ვიღაც მხეცს, რომელიც სიმთვრალისა და ჩხუბის მეტს არაფერს აკეთებს!..

კიდევ უნდოდა რაღაებიც ეთქვა თავ-დავიწყებულს დათას, მაგრამ უეცრად საშინელი ამოოხვრა მოესმა მაროსი და უცებ შესდგა. მარო ნამეტანად აღელვებული იყო და დიდხანს იმაგრებდა თავს, მაგრამ ბოლოს უსუსტა ჩვილმა გულმა, ნაღველი ყელში მოაწვა, თვალები ცრემლით აევსო და რამდენიმე მარგალიტი გადმოსცვივდა კიდეც.

— გმადლობთ, რომ აქამდის ბრმას თვალი ამიხილეთ, სთქვა და უცებ გავიდა მარო.

— კოწია, გაჰყევი, თუ გიყვარდე, დაამშვიდე, მგონი საზღვარს გადავაბიჯე, სთქვა დათამ და თითონაც ცრემლები მოადგა თვალებზედ. კოწია მაშინვე წავიდა.

— რა კარგი ცრემლები იყო? სთქვა დათამ, როცა მარტო დარჩა.

მართლა რომ კარგი ცრემლები იყო, მკითხველო! ნეტავი იმას, ვისაც ერთხელ მაინც თავის სიცოცხლეში გადმოუდენია ამისთანა ცრემლები ვისისამე თვალებიდგან! იმას თამამად შეუძლია სთქვას, მეც მიმსახურნია ტანჯულ კაცობრიობისათვის, მეც მიმოქმედნია ქვეყანაზედ კეთილის დასამყარებლადაო!..

დუტუ მეგრელი

(შემდეგი იქნება)

**ბუდაპეშტი**. მეფემ შეიწყნარა თხოვნა ვენგრიის მთელის სამინისტროსი მთავარ-მინისტრ საპარითურთ სამსახურიდამ გადადგომის შესახებ.

**პარიჟი**. საპოლიციო განყოფილებაში მომხდარ აფეთქებით ოთხი კაცია მოკლული და ერთიც სასიკვდილოდ დაჭრილი.

პალატაში ლაპარაკი უკვე ატეხილა აფეთქების შესახებ. მთავრობას იმ ბრალსა სდებდნენ, რომ სუსტად ჰმოქმედობსო. ლუბემ უპასუხა, რომ მთავრობა შეუბრალებლად მოეკიდება ამ ბარბაროსულ საქციელის ჩამდენთაო. ყველა კეთილს მოქალაქესა ვსთხოვ, წინააღმდეგობა გაუწიოთ ავაზაკურს მოძღვრებასა და გაჰკიცხოთ ისინი, რომელნიც აქეზებენ ღარიბთა და ხელ-მოკლეთაო. ფერრულიმ სთქვა, რომ სოციალისტებს მონარხისტებთან საერთო არა აქვთრაო. დიდ-ძალის ხმის უმეტესობით პალატამ ნდობა გამოაცხადა მთავრობის სიმტკიცისა და გულმოდგინების მიმართ და ზიზღით აღნიშნა საქციელი ანარხისტებისა.

**ბრიუსელი**, რამდენიმე ჯგუფი მუშებისა, რომელთაგანიც ზოგიერთნი პროვინციიდგან არიან ჩამოსულნი, დადიან ქუჩა-ქუჩა, მარსელიეზასა ჰმღერიან და ჰყვირიან: „გაუმარჯოს საზოგადო საერო კენჭისყრასაო!“ იმ გზაზედ, საითკენაც მეფე გაივლის ხოლმე, და პალატის ახლო-მახლო დიდ-ძალი-ხალხი სდგას; სამოქალაქო დარაჯი წესსა და რიგს იცავს; ემჩნევა, რომ დიდად შეშფოთებულია ხალხი, მაგრამ საიმისო-კი არა მომხდარა-რა. რამდენიმე კაცი შეიპყრეს იმის გამო, რომ მეფის პალატისაკენ გავლის დროს შემაძრწუნებელი სიტყვები წამოეძახნათ. პოლიციამ არა ერთხელ გაჰფანტა თავმოყრილი ხალხი. მეფემ სეფე-სიტყვა წაიკითხა და განაცხადა, რომ, იმედია, ახლად გადასინჯული კონსტიტუცია მერმისში თანხმობისა, კეთილგონიერებისა და პროგრესის ნაყოფი გამოდგებაო. პალატა კვლავ განაგრძობს საქმეს იმ პროექტის განხილვისას, რომელიც მუშათა ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად არის შედგენილი.

**პარიჟი**. დღსის რაზმმა დაიპყრო კანა, თუმცა მტერი დიდად ეწინააღმდეგებოდა და არ ანებებდა.

**ვენა**. მემკვიდრე ცესარევიჩი ვენაში ყოფნის დროს გოფბურგში იცხოვრებს, ვითარცა სტუმარი იმპერატორის ფრანც-იოსებისა. მისის უმაღლესობის პატივსაცემლად დიდი სადღესასწაულო სადილი იქნება გამართული. ავსტრიაზედ გასვლელად იმპერატორმა მემკვიდრე ცესარევიჩს დაუთმო სამეფო მატარებელი, რომელიც მისის უმაღლესობისათვის იტალიის საზღვართან მივა.

პეტერბურგის ბირჟა, 27 ოქტომ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8,06 | 8,09 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 161¼ | 162 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — ,, | — ,, | 237 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 216¾ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 191¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | 102¼ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | 102¼ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 98,12 |

**გამოსადეგი ცნობანი**

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეიძლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით,

ფოთიდგ გადისან:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის ლ საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

ნ ი ხ რ ი

1892 წ. 18 ენკენისთვიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „
ჯვარის მამის პორის ლავაში.
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 6 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 12 „
ცხვრის ხორცი — — 7 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. გ. „
მე-2 ხარ. ტყავიანად „

# განცხადებანი

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—130)

გმოვიდა და დაურიგდა აგენტებს.

ქუთაისის ამხანაგობის მიერ გამოცემული

1) **„სურათები ჩვენის ხალხის ცხოვრებიდან“**

დუტუ მეგრელისა;

2 **„დედა-შვილის თავ-გადასავალი“**

(აპენინის და ანდის მთები)

ე. დე—ამიჩისისა.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ამავე ამხანაგობის შემდეგს აგენტებს:

ქუთაისში ძმ. ჭილაძეთა და წერეთლების წიგნის მაღაზიებს.

ტფილისში წერა-კითხვის და ტფილისის ამხანაგობის მაღაზიებს;

ოზურგეთში თავართქილაძის წიგნის მაღაზიას;

ბათუმში მ. ი. ნიკოლაძის გაზეთების და წიგნების სააგენტოს;

გორში არ. კალანდაძის სტამბას;

ზესტაფონში თ. ხუსკივაძეს და ი. კაკაბაძეს;

ფოთში ნოდიას წიგნის მაღაზიას;

კავკავში ტ. კახიძეს;

საჩხერეში ყარამან ჩხეიძეს;

ახალ-სენაკში თავართქილაძის მაღაზიასა;

ძველ-სენაკში ი. გოგოლაშვილს და ლ. ალლაძეს;

ოჩემჩირეში ი. გეგელაშვილს;

ხონში ნ. წერეთელს;

ახალციხეში გრ დეკანოზიშვილს;

თელავში მიხ. ცისკარაშვილს;

სიღნაღში მაჭავარიანის წიგნის მაღაზიას;

ონში ნიკოლოოზ მრევლიშვილს;

სოხუმში ნ. ბერძენოვის ასულს.

ბაქოში გ. ხუტულაიშვილს;

ყარსში მ. მუსელიანს;

ზაქათალაში ტ. რცხილაძეს;

განჯაში დ. ქვლივიძეს;

ბაღდადში ნ. ტყეშელაშვილის ასულს;

ერევანში ს. კასრაძეს;

სამტრედიაში გელეიშვილის წიგნის მაღაზიას;

ქუთაისის რკინის გზის სადგურზედ ი. ხეთერელს. (6—5)



ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

# ЗАВОДЪ
## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
## А. А. ТУТАЕВА.

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонта и окраскъ домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

## ალექსი თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფოტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—43)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.— კ. | 6 თთვით . . . . | 6 მ.— კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ''.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.